ადგილობრივი საგრანტო ხელშეკრულება

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ხელშეკრულების ნომერი:

დამუშავების ნომერი (12 ციფრი):

პროექტი:

ქვეყანა:

GIZ კონტაქტი: (ფუნქცია): [ვინაობა], [მისამართი]1

ერთი მხრივ

შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ეშბორნი, გერმანია
Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 ეშბორნი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

შემდგომში „GIZ“

და მეორე მხრივ

[მიმღების ვინაობა]

რომელსაც წარმოადგენს

[მიმღების წარმომადგენლის ვინაობა], [ფუნქცია][2]

[მიმღების ოფიციალური ადგილმდებარეობა]

შემდგომში ”მიმღები”

აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ადგილობრივი გრანტის თაობაზე.

[მიმღებისთვის] ამ ადგილობრივი გრანტის გაცემის საფუძველია [დამკვეთი მხარის: ეკონომიკური თანამშრომლობისა და

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 32+36
53113 Bonn, Germany
T +49 228 4460-0
F +49 228 4460-1766

Dag-Hammarskjöld-Weg 1–5
65760 Eschborn, Germany
T +49 6196 79-0
F +49 6196 79-1115

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394
VAT no. DE 113891176
Tax no. 040 250 56973

Chairperson of the Supervisory Board
Jochen Flasbarth, State Secretary

Management Board
Thorsten Schäfer-Gümbel (Chair)
Ingrid-Gabriela Hoven

Commerzbank AG Frankfurt am Main
BIC (SWIFT): COBADEFFXXX
IBAN: DE45 5004 0000 0588 9555 00

1 გთხოვთ, აირჩიოთ ქვეყნის ოფისის დირექტორის (თუ ხელშეკრულების მომზადებას ქვეყნის ოფისი ახორციელებს) ან შეკვეთაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ვინაობა და ქვეყნის ოფისის ან პროექტის ოფისის მისამართი.

.

2 გთხოვთ, აირჩიოთ შესაბამისი ფუნქცია: დირექტორი ან ან შესაბამისი ფუნქციის ხელმძღვანელი

განვითარების ფედერალური სამინისტროს (შემდგომში „BMZ)“ მიერ გაცემული დავალება] [თარიღი]

GIZ უზრუნველყოფს გრანტების გაცემას მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად, ექსკლუზიურად [დამკვეთი მხარის: BMZ-ის] სახელითა და ანგარიშით.

არასავალდებულო:: *[დამკვეთი მხარის - BMZ-ის] მიერ გაცემული დავალების თანადაფინანსებას ახორციელებს [GIZ-ის თანადამფინანსებელი დონორი, მაგ. DEZA,...].*

1. ადგილობრივი გრანტის ოდენობა, ვადა და დანიშნულება

1.1 ფედერალური რესპუბლიკის სახელით, წარმოდგენილი დამკვეთი მხარით, მაგ. BMZ-ით, GIZ გასცემს მიმღებზე ადგილობრივ გრანტს, *თანადაფინანსებულს [GIZ-ის თანადამფინანსებელი დონორის, მაგ. DEZA-ს მიერ, ...]* 1.3 პუნქტით განსაზღვრული პროექტის განსახორციელებლად

(ჯამური თანხა CU-ში)[3]
(სიტყვიერად: **)**
ოდენობით.

1.2 ადგილობრივი გრანტი (თარიღიდან) (თარიღამდე) (მხარდაჭერის პერიოდი) პერიოდისთვის არის გათვალისწინებული. მხარდაჭერის პერიოდის მიღმა წარმოქმნილი ან გაღებული ხარჯები გრანტის ფარგლებში დაფარვას არ ექვემდებარება.

1.3 ადგილობრივი გრანტის მიზანს **წარმოადგენს** (პროექტის სახელწოდება). ზემოაღნიშნულის მისაღწევად, მიმღებმა უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

[3] CU= დანიშნულების ქვეყნის ფულადი ერთეული

არასავალდებულო[4]

1.3 პროექტის სუბსიდირება ხორციელდება შემდეგი მხარეების (მიმღები ან/და მესამე მხარეები) მიერ, სუბსიდიების/საკუთარი შენატანების მეშვეობით, შემდეგი ოდენობით:

1. [ვინაობა] CU-მდე შეესაბამება %-ს
2. [ვინაობა] CU-მდე შეესაბამება %-ს

მიმღების ან მესამე მხარის მიერ გაღებული შენატანების განაწილება პროექტის სავარაუდო ხარჯებში ნაჩვენებია ფინანსურ გეგმაში (დანართი 1).

დონორის გრანტი გაიცემა მიმღების ან მესამე მხარის მიერ ზემოაღნიშნული შენატანების გადახდის პირობით .

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მითითებული მხარეების მიერ გადახდილი ფაქტობრივი შენატანები საფინანსო გეგმაში მითითებულ საორიენტაციო ოდენობაზე ნაკლებია,, გრანტის დონორი უფლებამოსილია, შეამციროს საკუთარი სუბსიდიის ოდენობა ფაქტობრივი ხარჯების სავარაუდო ხარჯებთან მიმართებაში შემცირების პროპორციულად.[5]

1.4 პროექტის აღწერა, დათარიღებული (თარიღი) **(დანართი 4)** და ბიუჯეტი (თარიღი) **(დანართი 5**), რომელიც მიმღების მიერ პროექტის განსახორციელებლადაა მომზადებული, 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისათვის განკუთვნილ სავალდებულო ჩარჩოს წარმოადგენს. ეს ადგილობრივი გრანტი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ ღონისძიებებისათვის, რაც პროექტის აღწერილობისა და ბიუჯეტის შესაბამისად განხორციელდება. ნარჩენი თანხები GIZ-ს უნდა დაბრუნდეს. ყველა წარმოქმნილი დამატებითი ხარჯი ეკისრება მიმღებს.

---

4 თუ გეგმები საკუთარ შენატანებს ან მესამე მხარის სუბსიდიებს მოიცავს, გთხოვთ, მიმართოთ კონტრაქტების მენეჯერს შესყიდვებისა და კონტრაქტების სამმართველოს დაფინანსების განყოფილებიდან.

5 აუცილებელია საკუთარი შენატანების გადაუხდელობის სამართლებრივი შედეგების მითითება.

1.5 1.3 პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელებისას, მიმღები რჩევისათვის მიმართავს [6]-ს და გაითვალისწინებს მის რეკომენდაციებს.

2. ადგილობრივი გრანტის გაცემა

2.1 მიმღებმა ადგილობრივი გრანტის გაცემამდე შემდეგი პირობები უნდა შეასრულოს:

- მიმღებმა ხელი უნდა მოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც მისთვის იურიდიული ძალა ექნება
- [7]-ს წარდგენა/მიწოდება

2.2 *ალტერნატივა 1a (2.2-თვის). (საავანსო გადახდის პროცედურა), კონტრაქტები, რომლებიც არ აჭარბებს EUR 1,000.00-ს.*
ამ ადგილობრივი გრანტის გაცემა საავანსო გადახდის სახით (თარიღი) ხდება. საავანსო გადახდის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, **დანართი 3-ის** შესაბამისად.

ალტერნატივა 1b (2.2-თვის). (საავანსო გადახდის პროცედურა), კონტრაქტები, რომლებიც არ აჭარბებს EUR 1,000.00-ს.
ამ ადგილობრივი გრანტის გაცემა მოხდება საავანსო გადახდების ეტაპობრივად განხორციელებით (**დანართი 3-ის** შესაბამისად), *დაფინანსების ყოველთვიური (ალტერნატიულად: არაუმეტეს კვარტალურისა, თუ ხელშეკრულების ვადა 6 თვეს აღემატება)* მოთხოვნების შესაბამისად.

---

6 გთხოვთ, შეიყვანოთ შესაბამისი ინფორმაცია: შეკვეთაზე პასუხისმგებელი ოფიცერი, GIZ-ის ქვეყნის ოფისის დირექტორი, GIZ-ის მიერ დანიშნული ადგილობრივი ექსპერტები.

7 გთხოვთ, შეიყვანოთ კონკრეტული დოკუმენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, წინა ხელშეკრულების საბოლოო ანგარიშ-ფაქტურა, მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგ. დაგეგმვის დოკუმენტაცია, საკუთრების უფლების მოწმობები, მშენებლობის ნებართვა) და ა.შ.

თუ წინა გადახდის სულ მცირე, 80% გამოყენებულ იქნა პროექტის განსახორციელებლად (რისი მტკიცებულებაც მოწოდებული იყო) და ანგარიშსწორება დასრულებულია მე-3 ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი საავანსო გადახდის მოთხოვნის გაკეთება. საავანსო გადახდის მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, **დანართი 3-ის** შესაბამისად.

მიმღებთან დარჩენილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება შემდეგი გადახდის ანგარიშში.

ალტერნატივა 2 (2.2-თვის). (ანაზღაურების პროცედურა)
ამ ადგილობრივი გრანტის გაცემა განხორციელდება ყოველთვიური *(ალტერნატიულად: კვარტალური, თუ ხელშეკრულების ვადა აღემატება 6 თვეს)* გადახდებით, მიმღების მიერ გადახდილი თანხების ანაზღაურების სახით (პროექტის განხორციელებისთვის მათი გამოყენების მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე).

2.3 *შეიტანება პირდაპირი გადახდის პროცედურის შემთხვევაში*[8]
შესაძლებელია ამ ადგილობრივი გრანტის მესამე პირებზე პირდაპირი გაცემა (საქონლისა და მომსახურებისთვის პირდაპირი გადახდის სახით), მიმღებისაგან ისეთი შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის (წერილის) მიღებისას, რომელსაც დართული ექნება ანგარიშ-ფაქტურა და დოკუმენტაცია.

2.4 *შეიტანება, თუ მხარეები შეთანხმდებიან თანხის დაკავებაზე*[9]
კონტრაქტის ღირებულების 10%-ის ოდენობის თანხა GIZ-ის მიერ გარანტიის სახით იქნება დაკავებული, იგი არ გადაეცემა მიმღებს მანამდე, სანამ არ უზრუნველყოფილი არ იქნება ყველა აუცილებელი ქვითრის სწორად

---

8 შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია პირდაპირი გადახდებით კონკრეტული (მაგ. შედარებით მსხვილი) ინვოისების დაფარვა, რაც საავანსო გადახდის ან ანაზღაურების პროცედურის ფარგლებში განხორციელდება.

9 იმ შემთხვევებში, როცა სამშენებლო ღონისძიებების განხორციელება იგეგმება, უზრუნველყოფის სახით თანხის დაკავების შესახებ დებულების შეტანა სტანდარტულ პრაქტიკას წარმოადგენს და საგარანტიო მოსაზრებების გამო არის მკაცრად რეკომენდირებული.

წარდგენა და დამოწმება და მიმღების საბოლოო ანგარიშის მიღება GIZ-ის მიერ.

2.5 *შეიტანება ადგილობრივი ექსპერტებისათვის პირდაპირი გადახდების განხორციელების შემთხვევაში*[10]

1.1 ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს CU-ს. ამ თანხიდან, GIZ მიმღების სახელით ყოველთვიურად, -დან -მდე, ბატონს/ქალბატონს პირდაპირი გადახდით, წმინდა ხელფასის სახით, გადაურიცხავს CU-ს (ე.ი. სულ CU-ს) იმ შრომით ხელშეკრულებაში მოცემული შეთანხმების შესაბამისად (იხ. ნაწილი 5), რომელიც მიმღებსა და ბატონს/ქალბატონს შორის იქნა დადებული[11]. თავის მხრივ, მიმღები შეასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა ვალდებულებას (განსაკუთრებით - გადასახადებთან და სოციალური უზრუნველყოფის შენატანებთან დაკავშირებით), რომლებიც შეიძლება განხორციელებულ იქნას ამ ადგილობრივი გრანტის ფარგლებში, თუ ეს საკითხი შეთანხმებულია. GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას გადასახადებისა და სოციალური უზრუნველყოფის შენატანების გადახდაზე; GIZ-სა და ბატონს/ქალბატონს შორის არ არსებობს შრომითი ურთიერთობა. ერთადერთ დამსაქმებელს მიმღები წარმოადგენს.

2.6 *შეიტანება EUR 50,000.00 ან მეტი ღირებულების ხელშეკრულებების შემთხვევაში.*[12]

მიმღები მის საბუღალტრო სისტემაში, რომელიც ხელშეკრულების ფინანსური მართვისთვის არის განკუთვნილი, ხსნის ცალკე საბანკო ანგარიშს, ცალკე ქვეანგარიშს ან ცალკე ღირებულების ერთეულს და, პირველი საავანსო გადახდის მოთხოვნის გაკეთებისას, GIZ-ს ზემოაღნიშნულის განხორციელების მტკიცებულებებს წარუდგენს. ამ ადგილობრივი გრანტის ფარგლებში განხორციელებული ყველა დაფინანსების აღრიცხვა სხვა

---

10 გამონაკლისი, რომლის აუცილებლობაც თითოეულ შემთხვევაში ნათლად უნდა იყოს ახსნილი და დოკუმენტირებული . მაქსიმალური ვადა 1 წელია.

11 გთხოვთ, მიუთითოთ ადგილობრივი ექსპერტის ვინაობა.

12 სავალდებულოა 50,000.00 ევროს ან მეტი ღირებულების ხელშეკრულებებისთვის.

დონორების მიერ მოწოდებული სახსრებისაგან განცალკევებით უნდა შესრულდეს.

(ნუმერაცია დააკორექტირეთ საჭიროებისამებრ)

2.7 საგრანტო თანხის მიღების შემდგომ, მიმღები GIZ-ს წარმოუდგენს სათანადო ხელმოწერით დადასტურებულ თანხის მიღების ქვითარს (მასზე დანიშნულების მითითებით), საბანკო გადარიცხვებისას კი - მიმღების ანგარიშის მომდევნო ამონაწერსა და თანხის მიღების ამსახველ ქვითარს (საბანკო ამონაწერს).

2.8 ხელშეკრულების **დანართ-5-ში**, ინდივიდუალური ხარჯების გადაჭარბება დასაშვებია 20% მდე, თუ გაზრდილი ხარჯი ბალანსდება/კომპენსირდება დანაზოგით სხვა საბიუჯეტო ხაზიდან და თუ ეს პროექტის განსახორციელებლად არის აუცილებელი.

3. ადგილობრივი გრანტის აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცედურა

3.1 ქვემოთ მითითებულ სათანადო მტკიცებულებებთან ერთად, მიმღები ავსებს, ხელს აწერს და წარადგენს ხარჯების ნუსხას, რომელიც **დანართ 1-ში** არის წარმოდგენილი.

3.2 მიმღებმა თანხების სათანადოდ გამოყენების მტკიცებულებების წარდგენა უნდა უზრუნველყოს. ზემოაღნიშნულის დამადასტურებლად, მიმღებმა GIZ-ს ყველა შემთხვევაში უნდა წარუდგინოს სათანადოდ მიღებული კომერციული ანგარიშ-ფაქტურების ორიგინალები, ასევე მომსახურების განხორციელებისა და გადახდის მტკიცებულებები ან/და დებიტორული დავალიანების ჩანაწერები, რომლებიც მიმღების მიერ შემოწმებული და ხელმოწერილია, როგორც ფაქტიურად სწორი (შესაბამისი საავანსო გადახდის პერიოდის დასრულებიდან კვირის განმავლობაში)[13]. მიმღები ყველა

[13] შენიშვნა: როგორც წესი, ამ ინფორმაციის გაგზავნისთვის ორი კვირაა გათვალისწინებული.

დოკუმენტაციას წარადგენს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე, ან დაურთავს თარგმანს ერთ-ერთ ზემოთხსენებულ ენაზე.

3.3 უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმღებმა უნდა ვალუტის გაცვლის ქვითრების ორიგინალები უნდა წარმოადგინოს.

3.4 მიმღები ანგარიშების საბოლოო ანგარიშსწორებასთან ერთად წარადგენს წერილობით ანგარიშს დაფინანსებული ღონისძიების განხორციელებისა და მიღწეული შედეგის შესახებ.[14]

3.5 ყველა აქტივობის დასრულების შემდეგ დარჩენილი თანხები GIZ-ს შემდგომი მოთხოვნის გარეშე უნდა დაუბრუნდეს.

დამატებითი ტექსტი საკუთარი შენატანებისა და/ან მესამე მხარის შენატანების თაობაზე (1.3)

3.6 განცხადება წარდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს თანხების გამოყენების საბოლოო მტკიცებულებების წარდგენის მომენტისა. მასში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რამდენად იქნა გაკეთებული შენატანები იმ სხვა მხარეების (მიმღები და/ან მესამე პირები) მიერ, რომლებიც 1.3 პუნქტშია მითითებული.

შეიტანება სამშენებლო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში

3.7 განხორციელების განმავლობაში და სამშენებლო ღონისძიება(ებ)ის დასრულების შემდეგ, მიმღებმა GIZ-ს უნდა მიაწოდოს მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი და ჩვეულებრივი დოკუმენტი, რომელიც პროექტის აღწერაში არის მითითებული *(როგორიცაა დაგეგმვის დოკუმენტები, შემოწმებული*

[14] შეიძლება შეიცავდეს ანგარიშგების დამატებით პირობებს (მაგ. შუალედური ანგარიშები, თარიღები). თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მიმღების მიერ საკუთარი შენატანების გაკეთება, ეს პუნქტი უნდა გაფართოვდეს და შეიცავდეს ისეთი შესაბამისი ანგარიშგების მოთხოვნას, რომელიც ამ შენატანებს ასახავს.

ზომები, შუალედური და მიღების ჩანაწერები) განხორციელების ფოტოდოკუმენტაციის ჩათვლით.[15]

4. შესყიდვის პროცედურა[16]

ამ ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების გაფორმებისას, მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს [ქვეყანაში] მოქმედი რეგულაციები და **დანართ 2-ში** (საქონლისა და მომსახურების შესყიდვის კონტრაქტის გაფორმება) მოცემული დებულებები, რაც წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს. **დანართ 2-ში** მითითებული დოკუმენტები შესაბამის ქვითრებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი. საქონლისა და მომსახურების მიწოდების ყველა ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოხდეს GIZ-ის მრჩეველთან ან GIZ ქვეყნის ოფისთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე.

ღონისძიებისთვის შეძენილ ან წარმოებულ ყველა ობიექტზე საკუთრების უფლება ღონისძიების დასრულების თარიღზე ან მის დასრულებამდე უნდა გადაეცეს დანიშნულ სამართალმემკვიდრეს (პროექტით გათვალისწინებული მიზნის შესაბამისად და GIZ-ის შეხედულებისამებრ). GIZ და მიმღები შესაბამის დროს, მაგრამ არაუგვიანეს თანხების გამოყენების საბოლოო მტკიცებულების წარდგენამდე, უზრუნველყოფენ საკუთრების უფლების ამ გადაცემის კოორდინირებას. თანხების გამოყენების დამადასტურებლად მოწოდებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ანგარიშს საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, ამასთანავე წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტიც.

---

15 აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია წარსადგენ სამშენებლო დოკუმენტაციასთან და დამატებით სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მიწოდებაც. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სამშენებლო განყოფილებას: BaueninderIZ@giz.de.

16 თუ მასალებისა და აღჭურვილობის შესყიდვა ადგილობრივი გრანტის მეშვეობით მოხდება, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს, თუ სად უნდა დარჩება ისინი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ. ამ მიზნით, აუცილებელია 4-ის ფარგლებში დამატებითი ელემენტის განთავსება.

მარაგებისა და მომსახურების შესყიდვა მდგრადობის მაქსიმალურ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

5. შრომითი ხელშეკრულება

ხელფასების დაფინანსების შემთხვევაში, მიმღები დაინტერესებულ პირებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, რაც ადგილობრივი ნორმატიული აქტების შესაბამისად ხორციელდება. შრომითი ხელშეკრულებების ასლები წარდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს პირველი საავანსო გადახდის მოთხოვნის მიწოდების მომენტისა.

არასავალდებულო: (თუ ხელშეკრულების გაფორმებისას შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები ჯერ არ არსებობს ან მხოლოდ ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი)
თუ პირველი საავანსო გადახდის დროს შრომითი ხელშეკრულებები ჯერ დადებული არ არის, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების ასლების წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს საავანსო გადახდის მოთხოვნის მიწოდების მომენტისა, რომლიდან დაწყებულიც შრომითი ხელშეკრულებები ძალაში შედის.

6. პროექტის აუდიტი

მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს GIZ ან მის მიერ უფლებამოსილი პირი დაფინანსებულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ჟურნალებისა და დოკუმენტების, ასევე შესყიდული ან წარმოებული ნივთების ან სამუშაოს შედეგების ნებისმიერ დროს შემოწმების შესაძლებლობით, აგრეთვე მიაწოდოს ყველა სახის მოთხოვნილი ინფორმაცია.

7. სარგებლობის უფლება

მიმღები GIZ–ს ანიჭებს გაუქმებას დაუქვემდებარებელ, არაექსკლუზიურ, მსოფლიოს მასშტაბის, უსასყიდლო, გადაცემად უფლებას იმისა, რომ გამოიყენოს საქმიანობის ყველა ის შედეგი, რომელიც შექმნილია ან შესყიდულია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება ადგილობრივი საგრანტო თანხიდან, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშები, კვლევები, დოკუმენტაცია, სამშენებლო გეგმები, ასევე კომპიუტერულ პროგრამები. GIZ უფლებამოსილია, ისარგებლოს ამ უფლებით და გამოიყენოს ეს პროდუქტები არაკომერციული მიზნებისთვის, დროის ან შინაარსის მხრივ შეზღუდვის გარეშე, რაც მოიცავს, მათ შორის, ამ პროდუქტების დამუშავებას / თარგმნასა და ციფრულ მედია საშუალებებში გამოყენებას. GIZ-ის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისთვის მასალების ასლების მიწოდება. GIZ უფლებამოსილია, მიანიჭოს მესამე პირებს სარგებლობის მარტივი ქვეუფლებები.

8. კანონმდებლობასთან და გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა

8.1 მიმღები იღებს ვალდებულებას, გამოიყენოს ამ ადგილობრივი გრანტიდან მიღებული თანხები მასთან მიმართებაში გამოყენებადი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად და ადამიანის უფლებებისა და გარემოსა და კლიმატის დაცვის მრავალმხრივი შეთანხმებების პრინციპების გათვალისწინებით. კერძოდ, მიმღებმა უნდა დაიცვას შსო-ს ძირითადი შრომის სტანდარტები. მან ასევე უნდა უზრუნველყოს ზომების მიღება ძალადობის ან ნებისმიერი სახის ექსპლუატაციისა და დისკრიმინაციის (განსაკუთრებით - წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, ასაკის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის ან ინვალიდობის საფუძველზე) თავიდან აცილების, ბავშვების დაცვის და ყველა

სქესისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

8.2 მიმღები იღებს ვალდებულებას იმისა, რომ ამ ადგილობრივი გრანტიდან მიღებულ სახსრების გამოყენებისას გაიღებს ძალისხმევას, რათა თავიდან აიცილოს ან შეამციროს გაუთვალისწინებელი ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე და კლიმატზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაზე, ადამიანის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე და ისეთ კონტექსტებზე, რომლებიც კონფლიქტითა და ძალადობით ხასიათდება, რაც შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მეშვეობით იქნება განხორციელებული. ამავდროულად, მიმღები იღებს ვალდებულებას, გამოიყენოს ნებისმიერი შესაძლებლობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

8.3 მიმღები ვალდებულია, გაატაროს სათანადო ზომები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების თავიდან ასაცილებლად და თავი შეიკავოს როგორც ნებისმიერი სახის ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებისაგან, ასევე ცალკეული პირების ან ჯგუფების მიმართ ობიექტურ საფუძველს მოკლებული დისკრიმინაციისგანაც.

9. ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის და მექრთამეობის დაფინანსებასთან ბრძოლა და ემბარგოს დაცვა.

9.1 მიმღებმა არ უნდა დაუჭიროს მხარი რაიმე სახის ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ფულის გათეთრებას, ტერორისტული აქტივობების დაფინანსებას ან კორუფციას.

9.2 მიმღები ვალდებულია, ყოველთვის იმოქმედოს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად და უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. შესაძლოა, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზს კომერციული ინტერესები, პოლიტიკური კუთვნილება ან ეროვნული კავშირები, ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ურთიერთობები და სხვა ინტერესები წარმოადგენდეს.

9.3 მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პირები, რომლებსაც დაევალებათ კონკრეტული ღონისძიებების მომზადება და განხორციელება (კერძოდ - დაფინანსებული საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმება), არ მოითხოვენ, არ მიიღებენ, არ შესთავაზებენ, არ მიანიჭებენ, არ აიღებენ ვალდებულებას ან არ ექნებათ აღებული ვალდებულება ამ დავალებებთან დაკავშირებული რამე უკანონო გადახდის ან სხვა უპირატესობის მინიჭების თაობაზე.

9.4 მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს, რომ GIZ-ის მიერ დაფინანსებული გრანტის მეშვეობით გაცემული ფულადი სახსრები ან სხვა ეკონომიკური რესურსები პირდაპირ ან ირიბად არ გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან ევროკავშირის მიერ სანქციონირებულთა სიაში არიან შეტანილნი. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მიმღები ვალდებულია სახელშეკრულებო და საქმიან ურთიერთობებში შევიდეს და/ან შეინარჩუნოს ეს ურთიერთობები მხოლოდ სანდო მესამე პირებთან, რომელთა მიმართ არ მოქმედებს კანონით გათვალისწინებული რამე სახის აკრძალვა საქმიან ან სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ამ საგრანტო პროექტის ფარგლებში, მიმღები ვალდებულია დაემორჩილოს გაეროს, ევროკავშირის ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დაწესებული ემბარგოს ან სხვა სახის სავაჭრო შეზღუდვებს.

10. მონაცემთა დაცვა

10.1 GIZ-ს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პირადი მონაცემების დამუშავება მხოლოდ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის შესაბამისად (GDPR) შეუძლია. ამგვარი მონაცემების დამუშავება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების, მართვისა და მონიტორინგის განსახორციელებლად არის შესაძლებელი. საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მიმღებს აქვს უფლება გადახედოს, წაშალოს ან შეასწოროს თავისი პირადი მონაცემები ან დაუკავშირდეს GIZ-ს (datenschutzbeauftragter@giz.de)

ან სამთავრობო ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შესაბამის საკითხებზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პირადი მონაცემების დამუშავებისას, მიმღები ვალდებულია გაითვალისწინოს მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის და ევროკავშირის მოქმედი რეგულაციები (თანხმობის და ანგარიშგების ვალდებულებების ჩათვლით). მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს თანამშრომლები მონაცემებზე წვდომით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ხელშეკრულების განხორციელების, მართვისა და მონიტორინგისთვის; ამასთანავე ის ვალდებულია, თანამშრომლებს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა მოსთხოვოს. მიმღების მიერ პირადი მონაცემების დამუშავება ნებისმიერ ვითარებაში კონფიდენციალურად უნდა მოხდეს. მიმღები ვალდებულია, გაატაროს ტექნიკური და საორგანიზაციო უსაფრთხოების ზომები იმ რისკების შესაბამისად, რომლებიც მონაცემთა დამუშავების და პირადი მონაცემების ტიპის შესაბამისად წარმოიქმნება. მიმღები ვალდებულია, აცნობოს თავის თანამშრომლებს, რომ GIZ მათი პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას განახორციელებს. ამ მიზნით, მიმღები ვალდებულია, თავისი თანამშრომლები მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შესაბამისი განაცხადებით უზრუნველყოს.

11. ფორსმაჟორი

„ფორსმაჟორი“ წარმოადგენს გარდაუვალ მოვლენას (მაგ. სტიქიური უბედურება, დაავადების ეპიდაფეთქება ან ეპიდემია, სერიოზული არეულობა, ომი ან ტერორისტული აქტი), რომლის გათვალისწინება ადამიანური განსჯის ან გამოცდილების საფუძველზე შეუძლებელია და რომლის თავიდან აცილება ან გაუვნებელყოფა ვერ მოხდება გონივრული ძალისხმევისა და უკიდურესი სიფრთხილის გამოყენებით, და რომელიც აფერხებს GIZ-ის ან/და მიმღების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. არც GIZ-ს და არც მიმღებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისთვის, თუ მათ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ფორსმაჟორული გარემოებები უშლის ხელს, იმ პირობით, რომ ამგვარი მოვლენის შედეგად დაზარალებულმა მხარემ შესაძლებლობის

ფარგლებში მაქსიმალურად მიმართა სიფრთხილის ყველა ზომას, გამოიჩინა წინდახედულობა და განახორციელა შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიებები წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მაქსიმალურად შესრულების მიზნით. ნებისმიერი მხარე, რომელიც დაზარალდა ამ მუხლში აღწერილი მოვლენით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს როგორც წარმოქმნილი დაბრკოლებების, ასევე ვალდებულებების შესრულების უნარზე მათი ზეგავლენის შესახებ.

12. გადახდების შეჩერება და შეწყვეტა, ადგილობრივი გრანტის უკან დაბრუნება

12.1 GIZ უფლებამოსილია ნაწილობრივ ან სრულად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ადგილობრივი გრანტის გაცემა, თუ მოხდება ისეთი მოვლენა, რომელიც ხელშეკრულებაზე ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს. კერძოდ, ასეთი მოვლენა ხდება მაშინ, როდესაც:

ა) მიმღები ვერ წარმოადგენს ადგილობრივი გრანტის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოყენების მტკიცებულებას;
ბ) მიმღები ვერ იყენებს ან აღარ იყენებს პროექტისთვის შეძენილ და ადგილობრივი გრანტით წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის დაფინანსებულ ნივთებს;
გ) წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ან მისი შესრულების დროს მიმღები მიუთითებს არასწორ მონაცემებს ან თაღლითურად დამალავს გრანტთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
დ) მიმღები დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობებს;
ე) წარმოიქმნება განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ან სრულად შეუშლის ხელს ადგილობრივი გრანტის მიზნის მიღწევას, პროექტის განხორციელებას ან მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას; ან

ვ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ან [GIZ-ის თანადამფინანსებელი დონორი, მაგ. DEZA, ...] შეწყვეტს, დროებით შეაჩერებს ან ცვლის GIZ-თან დადებულ შესაბამის კონტრაქტს, რომელიც ამ ადგილობრივი გრანტის საფუძველს წარმოადგენს.

12.2 GIZ ასევე უფლებამოსილია, ნაწილობრივ ან სრულად დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ წარმოიქმნება 12.1-ე პუნქტის “ა-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება. 12.1 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების წარმოქმნის შემთხვევაში, GIZ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ სიტუაცია GIZ-ის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება; დაუშვებელია, რომ ეს პერიოდი 30 დღეზე ნაკლები იყოს. 12.1 პუნქტის „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოვლენების განვითარებისას, GIZ-ს ასეთი პერიოდის დაწესება არ მოეთხოვება.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ და GIZ-ის მოთხოვნით, მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა გადაუხადოს GIZ-ს ადგილობრივი გრანტის გამოუყენებელი თანხები, რომლებთან მიმართებაშიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმღებს შემდგომი ვალდებულებები არ აქვს დაკისრებული. ზემოაღნიშნული ასევე მოიცავს ყველა შემოსავალს და დაბრუნებულ სახსრებსაც.

მიმღები იღებს ვალდებულებას, მოითხოვოს იმ სახსრების ანაზღაურება და GIZ-სთვის დაბრუნება, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მის შეწყვეტამდე, კეთილსინდისიერად და იურიდიულად სავალდებულო საფუძველზე იქნა გადახდილი ან გადაცემული მესამე პირებისთვის. ანაზღაურება შემოიფარგლება იმ თანხით, რომელსაც მიმღები მესამე მხარისგან ყველა გონივრული ღონისძიების (მათ შორის სამართლებრივი ქმედებების) განხორციელების შემდეგ მიიღებს. მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს გაფრთხილება მესამე მხარესთან მიმართებაში აღებული ვალდებულებების შეწყვეტის შესახებ (მაგ. შრომითი ხელშეკრულებები, ქირავნობის ხელშეკრულებები, სესხები).

თუ წარმოიქმნება 12.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოება, მიმღებმა უნდა დაფაროს არა მხოლოდ ადგილობრივი გრანტის გამოუყენებელი თანხები, არამედ ის თანხებიც, რომლებიც მის მიერ აშკარად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შეუსაბამოდ იქნა გამოყენებული

თუ წარმოიქმნება 12.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოება, მიმღებმა უნდა დაფაროს არა მხოლოდ ადგილობრივი გრანტის გამოუყენებელი თანხები, არამედ ის თანხებიც, რომლებიც მოცემული ნივთებისთვის იყო გამოყენებული.

.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები მის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული დებულებების ბათილობის ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, ეს გარემოება ზეგავლენას არ მოახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა დებულების ვალიდურობაზე. ამ შემთხვევაში, GIZ და მიმღები ჩაანაცვლებენ ნებისმიერ ასეთ არასწორ დებულებას ვალიდური დებულებით, რომელიც საუკეთესოდ ასახავს არასწორი დებულების მნიშვნელობას და მიზანს და შეიძლება ჩაითვალოს იმად, რაზეც GIZ და მიმღები ხელშეკრულების გაფორმებისას შეთანხმდებოდნენ, თუ ეცოდინებოდათ ან განჭვრეტდნენ, რომ დებულება შეიძლება არავალიდური ან ბათილი გამხდარიყო. იგივე ეხება წინამდებარე ხელშეკრულებაში არსებულ ნებისმიერ ხარვეზს.

13.3 წინამდებარე **ხელშეკრულების** დამატებები და მასში შეტანილი ცვლილებები ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით შედგენის შემთხვევაში.

13.4 *არასავალდებულო (თუ საჯაროობის გეგმას მოითხოვს თანადამფინანსებელი)*

მიმღები უზრუნველყოფს გამოქვეყნების, კომუნიკაციის და/ან საჯაროობის ყველა აქტივობის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების **მე-6 დანართთან**.

მიმღებმა უნდა უზრუნველყოს GIZ-ის დაუყოვნებელი ინფორმირება და მაქსიმალური ძალისხმევის გაღება გამოქვეყნების, კომუნიკაციისა და საჯაროობის მოთხოვნების განხორციელებასთვან მიმართებაში არსებული ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, რაც დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში „კორპორატიული დიზაინი და ფორმულირება“ *(დოკუმენტის დასახელება შეიცვალოს საჭიროებისამებრ)*, რომელიც **მე-6 დანართის** სახით არის წარმოდგენილი.

არასავალდებულო (თუ დამკვეთი მხარის და/ან თანადამფინანსებელი დონორის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროა ***ნულოვანი საჯაროობის მიდგომის ან დაბალი საჯაროობის მიდგომის*** გამოყენება, პუნქტი 13.4 სრულად უნდა ჩანაცვლდეს შემდეგი “ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით).

ა) (**ნულოვანი საჯაროობა / დაბალი საჯაროობა** და **დანართი 6** (საჯაროობის გეგმა და საქმიანობის პრინციპები):
GIZ-მა შეათანხმა **ნულოვანი საჯაროობის მიდგომა / დაბალი საჯაროობის მიდგომა** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და [GIZ-ის თანადამფინანსებელ დონორთან, მაგ. DEZA ...].

ყველა პრესრელიზი და საჯარო განცხადება, რომლის გამოქვეყნებაც მიმღებს პროექტის შესახებ სურს, GIZ-ს დასამტკიცებლად გამოქვეყნებამდე უნდა წარედგინოს.

მიმღები ასევე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს შესაბამისობა „კორპორატიულ დიზაინსა და ფორმულირებასთან“ *(დოკუმენტის დასახელება შეიცვალოს საჭიროებისამებრ)*, წარმოდგენილი დანართი 6-ის სახით, რომელიც

შეიძლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში შეიცვალოს. GIZ იღებს ვალდებულებას, ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს მიმღების ინფორმირება.

*ბ) (**ნულოვანი საჯაროობა** და დანართის გარეშე):*

GIZ-მა შეათანხმა **ნულოვანი საჯაროობის მიდგომა** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და **[GIZ-ის თანადამფინანსებელ დონორთან, მაგ. DEZA ...]**. ყველა პრესრელიზი და საჯარო განცხადება, რომლის გამოქვეყნებაც მიმღებს პროექტის შესახებ სურს, GIZ-ს დასამტკიცებლად გამოქვეყნებამდე უნდა წარედგინოს.

მიმღები ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს შესაბამისობა ამ მიდგომასთან, რაც ნიშნავს, რომ მიმღებმა არ უნდა განაცხადოს რაიმე პუბლიკაციის, კომუნიკაციის ან სხვა საშუალების მეშვეობით, რომ მიმღები თავის საქმიანობას გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ დაკვეთილი და [GIZ-ის თანადამფინანსებელი დონორის, ე.ი. DEZA -ს ...] მიერ თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

14. მოქმედი სამართალი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება მიმღების ადგილსამყოფელის მოქმედ სამართალს ექვემდებარება.

14.2 იურისდიქციის ადგილია GIZ-ის ოფისის ადგილმდებარეობა

,	[ვინაობა]
.....	.....
ადგილი, თარიღი	მიმღების ხელმოწერა

,	[ვინაობა]	[ვინაობა]
	.....	.....
ადგილი, თარიღი	GIZ-ის ხელმოწერა	GIZ-ის ხელმოწერა

<u>დანართები</u>

დანართი 1 ხარჯების ჩამონათვალი

დანართი 2 მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულებების მინიჭება

დანართი 3 მოთხოვნა საავანსო გადახდაზე

დანართი 4 პროექტის აღწერილობა დათარიღებული (თარიღი)

დანართი 5 ბიუჯეტი დათარიღებული (თარიღი)

არასავალდებულო: გთხოვთ, დაამატოთ, თუ 13.4 პუნქტი შეთანხმებულია:

დანართი 6 კორპორატიული დიზაინი და ფორმულირება *(დოკუმენტის დასახელება შეიცვალოს საჭიროებისამებრ)*

დანართი 1

ადგილობრივი გრანტები - ხარჯთაღრიცხვა

ქვეყანა:	პნ.:
პროექტის დასახელება:	
ხელშ. N.:	ხელშ. თანხა:
მიმღები:	ხანგრძლივობა:
ვალუტა:	გვერდის N.:

N.	თარიღი	მიმღები	აღწერა	შემოსავალი	გასავალი	ბალანსი

ხარჯების ჩამონათვალში მითითებული და წერილობით საბუთში (დანართში) მითითებული თანხები არსებითად სწორია.

....

ადგილი, თარიღი მიმღების ხელმოწერა

....

ადგილი, თარიღი GIZ-ის ხელშეკრულებებსა და თანამშრომლობაზე პასუხიმგებელი პირის ხელმოწერა

დანართი 2

საქონლის ან მომსახურების შესყიდვა

მიმღებ ქვეყანაში მოქმედი წესების დაცვა არის აუცილებელი; ქვემოთ მოყვანილი პროცედურები მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს.

შესყიდვის ღირებულება	**პროცედურა**	**შესყიდვის დოკუმენტაცია**
1,000 ევრომდე	• არაოფიციალური; დასაშვებია პირდაპირი შესყიდვა	
1,000.01 ევროდან 20,000.01 ევრომდე	• მოითხოვება მინიმუმ სამი წერილობითი სატენდერო წინადადება • ოფიციალური ტენდერის ჩატარება საკუთარი კრიტერიუმების შესაბამისად	• შესყიდვის დასაბუთება: წერილობითი დოკუმენტაცია ტენდერის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ • თუ ტარდება ოფიციალური ტენდერი, უნდა მოხდეს ამის დოკუმენტურად გაფორმება
20, 000.01 ევროზე მეტი	• ტარდება ოფიციალური ტენდერი: როგორც წესი ღია ან დახურული	• შესყიდვის დასაბუთება: დოკუმენტაცია ტენდერის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ

ტენდერის გარეშე პირდაპირი შესყიდვის განხორციელება 1000 ევროს ან მეტი ღირებულების მომსახურებაზე კონკრეტულ მიმწოდებელთან დასაშვებია მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევების დროს, მაგალითად, თუ მომსახურების განხორციელება ან საქონლის მიწოდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ კომპანიას შეუძლია (საქონლის/მომსახურების უნიკალური მახასიათებლების გამო) ან თუ არ არსებობს სამი ადგილობრივი პრეტენდენტი. შესყიდვის დასაბუთებისთვის აუცილებელია ამის დოკუმენტურად გაფორმება.

დანართი 3

ავანსის მოთხოვნა

მიმღები

ორგანიზაცია:
მისამართი:
ელ. ფოსტა:

ვის:
შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

ხელშეკრულების ნომერი:
პროექტის ნომერი:

ავანსის მოთხოვნა

პერიოდისთვის დან მდე
თანხა მოთხოვნილია ხელშეკრულების 2.2 მუხლის თანახმად

(ვალუტა) (თანხა))

სასურველი გადახდის მეთოდი (გთხოვთ მონიშნოთ x)

☐ ჩეკი
☐ საბანკო გადარიცხვა:
ანგარიშის მფლობელი::
საბანკო ანგარიში:

სპეციალური საბანკო ანგარიშის გახსნის საბუთი წარმოდგენილია პირველი ავანსის მოთხოვნისას (თუ მოთხოვნილია ხელშეკრულების 2.2 მუხლის მიხედვით)

....
ადგილი, თარიღი მიმღების ხელმოწერა

....
ადგილი, თარიღი GIZ-ის ხელშეკრულებებსა და თანამშრომლობაზე პასუხიმგებელი პირის ხელმოწერა

დანართი 6

ადგილობრივი გრანტები - ფინანსურ ნაწილზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის ნიმუში

ქვეყანა: საქართველო **პნ:**

პროექტის დასახელება:

ხელშეკრ-N.: **თანხა:** ლარი

მიმღები:

ხანგრძლ: **თვე** **ვალუტა:** ლარი

ხელშეკრულების ხელმომწერი, პასუხისმგებელი პირი ხელშეკრულების ფარგლებში გასცემს უფლებას პირზე

ბატონი/ქალბატონი (გვარი, სახელი) .....

მასზედ, რომ ზემოხსენებულმა პირმა დაამუშაოს და ხელმოწერით დაადასტუროს ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ნაწილი და ფაქსიმილიით დაადასტუროს ქვითრების ავთენტურობა.

პასუხისმგებელი პირის გვარი, სახელი	**პასუხისმგებელი პირის ფაქსიმილია**

....

ადგილი, თარიღი მიმღების ხელმოწერა

....

ადგილი, თარიღი GIZ-ის ხელშეკრულებებსა და თანამშრომლობაზე პასუხიმგებელი პირის ხელმოწერა